

საკრედიტო რეიტინგის როლი რისკების შეფასებასა და მართვაში

ელინა გურგენაშვილი  
ირაკლი კუბლაშვილი  
მარიამ გასიტაშვილი

ჯგუფი# 4

*სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიზნესის სკოლაში*

პროექტის ხელმძღვანელი: ვახტანგ ბერიშვილი, მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, (2018)



## ლიტერატურაში გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა

SEC- U.S. Secyrities and Exchange Commission- აშშ-ს უსაფრთხოების და გაცვლის კომისია.

CAPM- Capital Asset Pricing model - კაპიტალური აქტივების შეფასების მოდელი.

$R_f$  – Risk Free - ურისკო განაკვეთი.

$R_m$  – Market risk – ბაზრის რისკი

MRP – Market Risk Premium - გლობალური ბაზრის რისკის პრემია

PRP – Political Risk Premium - პოლიტიკური რისკის პრემია

IMF – International Monetary Fund - საერთაშორისო სავალუტო ფონდი

CAD – Curent Account Deficit - მიმდინარე ანგარიშების დეფიციტი

FDI – Foreign Direct Investment - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

EFF – Extended Fund Facility - გაფართოვებული ფინანსირების ფონდი

SRM – Sovereign Rating Model - სუვერენული რეიტინგების მოდელი

IDR – International Depository Receipt - საერთაშორისო სადეპოზიტო შემოსავალი

SEC – Securiri and Exchang Commission - უსაფრთხოების და გაცვლის კომისია

CVS–Core Variable Scorecard - ძირითადი ცვლადების შეფასება

QS – Qualitativ Scorecard - თვისობრივი შეფასება

## ნაშრომში გამოყენებული ცხრილების ნუსხა

ცხრ. 1 - დანაკარგის ზომის და ალბათობის ცხრილი

ცხრ. 2 - ფიჩის საკრედიტო რეიტინგების განმარტების ცხრილი

ცხრ. 3 - კვლევის მეთოდოლოგიის ცხრილი

ცხრ. 4 - ქვეყნების მონაცემების ცხრილი

ცხრ. 5 - ქვეყნების საკრედიტო რეიტინგების ცხრილი

ცხრ. 6 - ქვეყნების მშპ-ს ცხრილი

ცხრ. 7 - ქართული კომპანიების რეიტინგების ცხრილი

ცხრ. 8 - ქართული კომპანიების რეიტინგები

## სარჩევი

1. თავსართი .....	i
2. ლიტერატურაში გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა.....	ii
3. ნაშრომში გამოყენებული ცხრილების ნუსხა .....	iii
4. სარჩევი.....	iv-v
5. აბსტრაქტი.....	1-2
6. შესავალი.....	3
7. პრობლემის არსი.....	4
8. კვლევის მიზანი.....	6
9. კვლევის ამოცანა.....	7
10. საკრედიტო რეიტინგის შესახებ სტატიების, ლიტერატურების და სამეცნიერო ნაშრომების მიმოხილვა.....	10
10.1 სახაზინო ვალდებულებები და ობლიგაციები.....	15
10.2 ფიჩის მიერ შეფასებული საქართველოს სუვერენული რეიტინგი.....	17
10.3 სუვერენული რეიტინგის მოდელი (SRM) და თვისობრივი მიმოხილვა (QO).....	20
10.4 რეიტინგების მგრძნობელობა.....	21
11. საკრედიტო რეიტინგის გავლენა რისკების შეფასებასა და მართვაზე.....	22
12. საკრედიტო რეიტინგის განვითარების ისტორია და სტრუქტურა, დადებითი და უარყოფითი მხარეები.....	28

13. საკრედიტო ორგანიზაციების მიერ გამოყენებული მეთოდოლოგია.....	30
13.1 სუვერენული საკრედიტო რეიტინგის შეფასების ხუთი კატეგორია.....	33
13.2 შიდაეკონომიკური რისკი.....	34
13.3 საჯარო ფინანსური რისკი.....	38
13.4 საგარეო ეკონომიკური რისკი .....	41
13.5 ფინანსური სტაბილურობის რისკი.....	43
13.6 ინსტიტუციონალური და პოლიტიკური რისკი.....	46
14. ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგია (რაოდენობრივი, თვისობრივი და მეორადი კვლევა).....	48
15. ქვეყნების შედარება საკრედიტო რეიტინგების მიხედვით.....	53
15.1 ქართული კომპანიების საკრედიტო რეიტინგები.....	57
16. გამოკითხვის შედეგები, დასკვნები და შემდგომი კვლევები.....	58
17. რეკომენდაციები.....	61
18. ბიბლიოგრაფია.....	63
19. დანართი.....	65



## აბსტრაქტი

საკრედიტო რეიტინგი, როგორც ფინანსური რისკების მართვის ერთ-ერთი რგოლი ფართოდ გამოიყენება განვითარებულ მსოფლიოში, საქართველოში კი, ამ მხრივ, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით დიდი ჩამორჩენა არსებობს, მაგრამ ტენდენცია იქით მიდის, რომ იხვეწება და სტრატეგიულად მნიშვნელოვან როლს იკავებს საკრედიტო რეიტინგი კომპანიების მართვასა და მენეჯმენტში ფინანსური განხრით. საკრედიტო რეიტინგები განსაკუთრებით აუცილებელია ისეთი კომპანიებისთვის, რომლებსაც სურთ ინვესტიციების ერთ-ერთი მთვარი წყაროს ათვისება, როგორც არის კრედიტი და დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ამ მხრივ ჩატარებული კვლევა ძალიან მნიშვნელოვანია.

ჩვენი კვლევის ამოცანაა შევისწავლოთ საქართველოში არსებული კომპანიების დამოკიდებულება საკრედიტო რეიტინგების მიმართ, განვსაზღვროთ, თუ რა სარგებელი შეიძლება მოიტანოს საკრედიტო რეიტინგების ფართო გამოყენებამ, როგორც კომპანიებისთვის, ასევე, მთლიანად ქვეყნისათვის. განვსაზღვრავთ იმ პარამეტრებს, რომლის მიხედვითაც დგინდება რეიტინგები, ასევე, შევისწავლით იმ პროცესებს რომლებზედაც საკრედიტო რეიტინგი ახდენს გავლენას. ნაშრომში განვიხილავთ საკრედიტო რეიტინგების გამოყენების ეფექტურ და არაეფექტურ შემთხვევებს, ასევე, განვიხილავთ თუ როგორ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში არსებული კომპანიებისათვის საკრედიტო რეიტინგის მნიშვნელობის განსაზღვრას, არსებული პრობლემების გამოვლენას ამ კუთხით და ამ პრობლემების გადაჭრის გზების შემუშავებას. კვლევის მიზნიდან გამომდინარე ნაშრომი განვიხილავს მსოფლიოს რეიტინგების შედარებებს და მაგალითებს, აღვწერთ ეფექტიანობის გაზომვის იმ პარამეტრებს, რომლებიც დაეხმარება კომპანიებს ამ კუთხით განვითარებაში.

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში საკრედიტო რეიტინგების კვლევას, რომელიც მყარდება მსოფლიოში აპრობირებული ანალიტიკური მოდელით და იძლევა ზუსტ

მონაცემებს კომპანიებისათვის საკრედიტო რეიტინგების მნიშვნელობის შესაფასებლად. კვლევის ფარგლებში მოცემულია საქართველოში არსებული კომპანიების საკრედიტო რეიტინგები და მათი ეფექტიანობა კომპანიაზე.

## **Abstract**

The credit rating, as one of the financial risk management tools, is widely used in the developed world, and in Georgia, there is a great lag in comparison with the developed countries in this respect, but the trend is going to be improved and strategically plays a critical role in credit ratings in operation and management of companies by the financial field. Credit ratings are especially important for companies willing to use one of the sources of investment, such as credit and due to current reality, the research carried out in this regard is very important. The task of our research is to study the attitude of companies in Georgia to credit ratings, to define what the benefits of credit ratings can be brought, to both companies and the country as a whole, determine the parameters according to which the ratings are established, we also examine the processes on which the credit rating affects. In this work, we discuss the use of credit ratings effective and ineffective cases and also consider how it affects the company's financial position. The goal of the research is to determine the importance of credit rating for existing companies in Georgia, to identify existing problems in this regard and to work out ways to solve these problems. Based on the research's goal, the work reviews comparisons and examples of world ratings, describe the parameters for measuring the effectiveness of those who help companies in terms of development. The work represents the study of credit ratings in Georgia, which is based on an analytical model approved by the world and gives accurate data to assess the value of credit ratings for companies. Within the scope of the survey, it is shown credit ratings of companies existing in Georgia and their effectiveness on the company.